

შ.პ.ს. „სლოტ გლდანი“

*მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება*

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
შემოსავლის, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ცხრილი 6.3 - ბალანსი	შენიშვნა	საანგარიშო წელი 2018	საანგარიშო წლის წინა წელი 2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	1,076,612.00	1770770
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		100.00	100.00
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		2,915.00	88.00
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი		526,000.00	620,000.00
სასაქონლო მარაგები		23,129.00	18,028.00
ნედლეული			11,245.00
სულ მიმდინარე აქტივები		1,628,756.00	2,420,231.00
ძირითადი საშუალებები	5	335,868.00	429,486.00
მანქანა-დანადგარები		264,034.00	383,908.00
ავეჯი და სხვა ინვენტარი		3,110.00	2,886.00
სატრანსპორტო საშუალებები		6,580.00	8,902.00
სხვა ძირითადი საშუალებები		62,144.00	33,790.00
არამატერიალური აქტივები	6	3,000,000.00	4,000,000.00
ლიცენზიები		3,000,000.00	4,000,000.00
სულ ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები		6,335,868.00	4,429,486.00
სულ აქტივები		4,964,624.00	6,849,717.00
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		207,107.00	176,209.00
გადასახდელი საგადასახადო ვალდებულებები		1,964,248.00	2,967,376.00

სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,171,355.00	3,143,585.00
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		78,500.00	78,500.00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		78,500.00	78,500.00
სულ ვალდებულებები		2,249,855.00	3,222,085.00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		922,361.00	922,361.00
გაუნაწილებელი მოგება		1,792,408.00	2,705,271.00
სულ საკუთარი კაპიტალი		2,714,769.00	3,627,632.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,964,624.00	6,849,717.00

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება	ლარი
შემოსავალი გაყიდვებიდან	8,738,541
უკან დაბრუნება	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	
წმინდა გაყიდვები	8,738,541
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	247,956
საწყისი მარაგი	18,028
შესყიდვა	242,855
საბოლოო მარაგი	23,129
საერთო მოგება	8,986,497
საოპერაციო დანახარჯები	-7,425,870.89
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	
საოპერაციო მოგება	1,560,626
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შეოსავალი	17,663
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ჩუქებით და ძირ საშ.რეალიზაცია)	66,288.00
არასაოპერაციო მოგება	83,951
მოგება გადასახადებამდე	1,644,577
მოგების გადასახადი	
წმინდა მოგება	1,644,577

კაპიტალის მოძრაობა 2018 წელი	სულ
ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისთვის	3627632
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	0
ქონების გადაფასება	0
ინვესტიციების გადაფასება	0
მოგება ზარალის ანგარიშში აუდიარებული შემოსულობა ან ზარალი	0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი	1644577
დარიცხული დივიდენდები	2519856
სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	37583
ნაშთი მომავალი წლის 1 იანვრისთვის	2,714,769

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ცხრილი 6.4 - ფულადი სახსრების მოძრაობა 2018 წელი (პირდაპირი მეთოდი)		
საანგარიშო წელი		სულ
საოპერაციოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		1,770,770.00
1	გაყიდვებიდან მიღებული ფულადი სახსრები(+)	9,812,389
2	სხვა საოპერაციო შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები(+)	3,445
3	თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი (-)	1,073,732
4	კომუნალური გადასახადი	190,331
5	გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი(-)	2,304,375
6	იჯარა (-)	1,811,560.
7	გადახდილი გადასახადები (-)	1,450,396.
8	სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	1,340,047.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,416,162.
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
1	ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	700.00
2	მიღებული პროცენტები (+)	35,529.
3	სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	4,397.
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		40,626.
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
1	გადახდილი დივიდენდები (-)	2,393,864.00
2	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღება (+)	14,916.51
3	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გასვლა (-)	1,229.93
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-2,380,177.
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		1,076,611.87
ფულადი სახსრები და ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება		694,158.13

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „სლოტ გლდანი“-ს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია დაარეგისტრირა 2010 წლის 7 ივლისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 401948363.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საფირმო ნიშნით „VEGAS BET“

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ფლობდა სამი მესაკუთრე: ვლადიმერ ბაკურაძე პ/ნ 01021002264 – 33,33%, რევაზ ხუციშვილი პ/ნ 01019012280 – 33,34% და ბეკხან ალიევი 711508558 -33,33%.

დირექტორი იოსებ მინდიაშვილი პ/ნ 01003020177.

კომპანიის ძირითად სამეწარმეო საქმიანობას 2018 წელს წარმოადგენდა სათამაშო ბიზნესი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხიზანიშვილის ქ., №15.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახვა ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ძირითადი საშუალების სობიექტის საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილეს თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს დამატებით სარგებელს. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექნომომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალის იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოს წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

შენობა-ნაგებობები - 10-55 წელი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 5-25 წელი

ავტომანქანები 10-15 წელი

ინვენტარი და აღჭურვილობა 2-20 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომლებიც ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს სათამაშო ბიზნესს, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

მოგებიდან გადასახადი. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგებისა გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა. ვინაიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მოგების გადასახადისგან განთავისუფლებული საქმიანობა, მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება მხოლოდ ბარის მოგებიდან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელია შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელი თარიღით (ა) მომხმარებლებისგან მოთხოვნის თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი, როგორც წესი, ანაზღაურდება რეალიზაციასთან დაკავშირებულ დღგ-სთან მიმართებით, დღგ-ს ანაზღაურების ინვოისის მიღების მომენტში.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდების განაწილება აღიარდება, როგორც იმ პერიოდის ვალდებულება, რომელშიც დამფუძნებლები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალების ამა თუ იმ ობიექტის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ხელმძღვანელობის განსჯის საგანია და ეყრდნობა ანალოგიური აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოცემული აქტივის მოსალოდნელი გამოყენების წესს, მისი ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი

გამოიყენება. ამ პირობებიდან ან შეფასებებიდან რომელიმეს შეცვლამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომავალ პერიოდებში ცვლილების განაკვეთების კორექტირება.

4. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	4	1,076,612.00	1770770
ფულადი სახსრები სალაროში		872,559.00	1,494,136.00
ფულადი სახსრები ბანკში		204,053.00	276,634.00

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	5	335,868.00	429,486.00
მანქანა-დანადგარები		264,034.00	383,908.00
ავეჯი და სხვა ინვენტარი		3,110.00	2,886.00
სატრანსპორტო საშუალებები		6,580.00	8,902.00
სხვა ძირითადი საშუალებები		62,144.00	33,790.00

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	6	3,000,000.00	4,000,000.00
ლიცენზიები		3,000,000.00	4,000,000.00

შ.პ.ს. „სლოტ გლდანი“-ს დირექტორი

/იოსებ მინდიაშვილი/

გამოიყენება. ამ პირობებიდან ან შეფასებებიდან რომელიმეს შეცვლამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომავალ პერიოდებში ცვლის განაკვეთების კორექტირება.

4. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	4	1,076,612.00	1770770
ფულადი სახსრები სალაროში		872,559.00	1,494,136.00
ფულადი სახსრები ბანკში		204,053.00	276,634.00

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	5	335,868.00	429,486.00
მანქანა-დანადგარები		264,034.00	383,908.00
ავეჯი და სხვა ინვენტარი		3,110.00	2,886.00
სატრანსპორტო საშუალებები		6,580.00	8,902.00
სხვა ძირითადი საშუალებები		62,144.00	33,790.00

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	6	3,000,000.00	4,000,000.00
ლიცენზიები		3,000,000.00	4,000,000.00

შ.პ.ს. „სლოტ გლდანის“-ს დირექტორი

/იოსებ მინდიაშვილი/